

სასამართლო მედიაციისა და სასამართლო მორიგების
საპროცესოსამართლებრივი რეგულირება და განვითარების
პერსპექტივები.

ლანა ქარქაშაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლანა ქარქაშაძე.

23.06.2025

აბსტრაქტი

მორიგებას, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ფორმას, ხანგრძლივი გამოცდილება და ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში, დავის მოგვარების ძირითადი ინსტიტუტი სასამართლო სისტემა გახდა. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოს რესურსი ყოველთვის საკმარისი არ არის ყველა სამართლებრივი პრობლემის დროულად მოსაგვარებლად. შესაბამისად, დროთა განმავლობასი წარმოიშვა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი მედიაციას. მიუხედავად მისი სამართლებრივი რეგულირებისა და განვითარების მცდელობებისა, ნათელია, რომ ეს მეთოდები ჯერ კიდევ სრულად ვერ არის ინტეგრირებული საზოგადოებრივ ცნობიერებაში და რაც სასამართლოს გადატვირთულობაც მიაწინებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილები განიცადა ახალი მიდგომებისა და ინსტიტუტების დანერგვის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ახალი სისტემის დამკვიდრება წარმოშობს გარკვეული სახის პრაქტიკულ პრობლემებსა, რაც გამოწვეულია გამოცდილების არარსებობით თუ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით. მიმდინარე ნაშრომი ეხება სასამართლო მედიაციისა და სასამართლო მორიგების საპროცესო-სამართლებრივი რეგულირების ანალიზს და მათ განვითარებაზე ორიენტირებულ ტენდენციებს. მისი მიზანია გამოკვეთოს არსებული სამართლებრივი ჩარჩო, შეაფასოს მედიაციისა და მორიგების მოქმედი მოდელები საქართველოში და განიხილოს მათი ეფექტიანობის ხარისხი საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სამართლებრივი ნორმების ანალიზი, შედარებითი-სამართლებრივი მიდგომა და პრაქტიკაზე დაფუძნებული ანალიზი. ნაშრომში გამოკვეთილია ძირითადი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება სასამართლოს როლს მედიაციისა და მორიგების პროცესში, ასევე,

მედიაციის ნებაყოფლობითობისა და ეფექტიანობის საკითხებს. მიღებული დასკვნები ხაზს უსვამს საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროებას, რათა სასამართლო მედიაცია და მორიგება გახდეს უფრო ქმედითი, სწრაფი და ხელმისაწვდომი გზა დავების გადაწყვეტისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ბოლო პერიოდში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი განვითარებისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენციები შეინიშნება, მაგრამ აუცილებელია აღნიშნული განვითარება სწრაფი ტემპით გაგრძელდეს, რაც უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოების განტვირთვასა და დროის ეფექტურობის დაბალანსებას შეუწყობს ხელს.

Abstract

Settlement, as a form of peacefully resolving conflicts, has a long-standing experience and history. Over time, the main institution for resolving disputes became the court system. However, practice shows that court resources are not always sufficient to resolve all legal problems in a timely manner. Accordingly, over the years, alternative ways of dispute resolution have emerged, one of the most important among them being mediation. Despite its legal regulation and development efforts, it is clear that these methods are still not fully integrated into public awareness, which is also indicated by the overload of the court system. In recent years, the Georgian legal system has undergone significant changes in terms of introducing new approaches and institutions. Naturally, the establishment of a new system gives rise to certain practical problems, which are caused by the lack of experience or legislative shortcomings. The current thesis concerns the analysis of procedural-legal regulation of court mediation and court settlement, as well as the trends oriented toward their development. Its aim is to highlight the existing legal framework, assess the current models of mediation and settlement in Georgia, and examine their level of effectiveness in comparison to international practice. The research employs legal norm analysis, comparative-legal approaches, and practice-based analysis. The thesis outlines the main problems related to the court's role in mediation and settlement processes, as well as issues concerning the voluntariness and effectiveness of mediation. The findings emphasize the need to improve legislative and institutional mechanisms in order for court mediation and settlement to become a more effective, fast, and accessible way of dispute resolution. It is also necessary to note that in recent years, there is a visible trend of development and public establishment of court mediation; however, it is essential that this development continues at a fast pace, which will directly contribute to relieving the court caseload and balancing time efficiency.